

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

საბჭოს სხდომა #25

2018 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მორიგი, რიგით ოცდამეხუთე შეხვედრა. სხდომას ესწრებოდა 11 დელეგატი. სხდომას ხელმძღვანელობდა საბჭოს თავმჯდომარე ქ.-ნი ლელა კეთილაძე. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ - რუსთავის მერის თანამემწე სტრატეგიული განვითარების საკითხებში ბ.-ნი რევაზ ბარბაქაძე, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის "USAID"-ის ხელმძღვანელი რუსთავში ქ.-ნი ლიანა ჩარკვიანი, საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კონსულტანტი ქ.-ნი თამთა კაკაურიძე.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს მუშაობის განვლილი ერთი წლის შეჯამება;
2. ფეისბუქ-გვერდის პრეზენტაცია და სამომავლო გეგმები, გვერდის ადმინისტრატორის არცევა;
3. მსჯელობა კითხვა-პასუხის რეჟიმში. საბჭოს წევრთა ჩანაცვლების გზები და მეთოდები;
4. პროექტების განხილვა და მსჯელობა;
5. სხდომის შეჯამება.

2018 წლის 22 ოქტომბრის შეხვედრაზე საბჭოს წევრებმა იმსჯელეს რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის მოამზადეს და სტუმრებს წარუდგინეს საბჭოს მიერ განვლილი ერთი წლის მუშაობის შემაჯამებელი და ახალი ფეისბუქ-გვერდის პრეზენტაცია.

საბჭოს მუშაობის შემაჯამებელი პრეზენტაციის მსველოლობისას ნუკრი რამიშვილმა იმსჯელა ყველა იმ მნიშვნელოვანი თემის შესახებ, რომლის სამუშაო პროცესშიც საბჭო აქტიურად იყო ჩართული. ესენია: მრჩეველთა საბჭოს შინაგანაწესის მომზადება, საბჭოს შეხვედრის ოქმების წარმოება, რეკომენდაციების მომზადება, 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების შემაჯამებელი დასკვნა რეკომენდაციების მომზადება და 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ასევე საბჭოს მიერ მომზადებული წერილები-ქალაქში საზოგადოებრივი ტუალეტების შესახებ, სარწყავი ე.წ. ტექნიკური წყლის გაჩენა ქალაქში. „ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ცენტრის“ პრეზენტაცია ჩეხეთის მაგალითზე.

შეხვედრაზე საბჭომ დამსწრე სტუმრებს სიახლე შესთავაზა და წარადგინა ახალი ფეისბუქ-გვერდი. პრეზენტაციის მიმდინარეობისას მალხაზ რაზმამემ ისაუბრა გვერდის დანიშნულებაზე და მის როლზე ინფორმაციის გავრცელებისა და საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდისათვის. ყურადღება გამახვილდა საბჭოს წევრი-დელეგატების უფლება-მოვალეობის გადანაწილებასა და სამომავლო გეგმებზე. ხოლო შემდგომ პრეზენტაცია გაგრძელდა კითხვა პასუხის რეჟიმში, სადაც დამსწრე სტუმრებმა კომპეტენციის ფარგლებში ყველა დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

პრეზენტაციების შემდგომ საბჭოს შეხვედრა გაგრძელდა ჩვეულ სამუშაო რეჟიმში წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის მიხედვით. დელეგატებმა იმსჯელეს და განიხილეს საბჭოს იმ წევრთა ჩანაცვლების საკითხი, რომლებიც ვერ/არ ანხორციელებდნენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს საბჭოს მუშაობის ფარგლებში. გადაწყდა მომზადდეს წერილის

ერთიანი ფორმა, რომელიც საბჭოს წევრებს გადაეგზავნებათ ინდივიდუალურად და ეცნობებათ საბჭოს ლეგიტიმური გადაწყვეტილების შესახებ.

2018 წლის 22 ოქტომბრის შეხვედრაზე საბჭომ კენჭი უყარა ორ საკითხს: 1) საბჭოს იმ წევრთა ჩანაცვლების საკითხი, რომლებიც ვერ/არ ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს ; 2) საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის არჩევის საკითხი.

ორივე საკითხი დამსწრე დელეგატთა ხმათა უმრავლესობით გადაწყდა, რომლის შედეგადაც უნდა მოხდეს დელეგატთა ჩანაცვლება და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა საბჭოს წევრი ბ.-ნი მალხაზ რაზმაძე. სხდომის დასასრულს მოხდა შეხვედრის შეჯამება და მომავალი შეხვედრის დღის წესრიგის მომზადება.

საბჭოს მდივანი

ნუკრი რამიშვილი

რუსთავი, საქართველო 22.10.2018 წ.